

საქართველოს კანონი

„ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, № 22, 19.06.2007, მუხ.194) საქართველოს კანონში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. ამოღებული იქნეს მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი.

2. მე-9 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია საქართველოს იუსტიციის სამინისტროსგან (სამინისტროს ტერიტორიული ორგანოსგან) ნორმატიული აქტის და შესაბამისი სამართლებრივი დასკვნის მიღებიდან (გამოცემიდან) 20 კალენდარული დღის განმავლობაში მოსთხოვოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირს), ცვლილება შეიტანოს ნორმატიულ აქტში ან გააუქმოს იგი, თუ ზედამხედველობის ორგანო ამ ნორმატიული აქტის არსებული სახით მიღებას მიზანშეუწონლად მიიჩნევს.“

3. მე-9 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5¹ მუხლი:

„5¹. ზედამხედველობის ორგანოს მოთხოვნა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსადმი (თანამდებობის პირისადმი) დელეგირებული უფლებამოსილების სფეროში მიღებულ ნორმატიულ აქტში ცვლილებების შეტანის ან აქტის (აქტის ნაწილის) გაუქმების შესახებ უნდა იყოს წერილობით დასაბუთებული. დელეგირებული უფლებამოსილების სფეროში მიღებული ნორმატიული აქტის (აქტის ნაწილის) მიზანშეუწონლობის დასაბუთება უნდა შეიცავდეს არგუმენტირებულ მითითებას აქტის მოქმედებით გამოწვეული სახელმწიფოს სახსრების გამოყენების არამიზნობრიობასა ან არაეფექტიანობაზე, ან/და საზოგადოებრივი მომსახურების ხარისხის გაუარესებას ან/და მიზანშეუწონლობის სხვა კონკრეტულ მოტივზე. თუ მოთხოვნილია აქტში ცვლილებების შეტანა, დასაბუთებაში აგრეთვე უნდა მიეთითოს შესაბამისი რეკომენდაციები ხარვეზების აღმოფხვრის შესახებ.“

4. მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო (თანამდებობის პირი) მოტივირებული მოთხოვნის მიღებიდან 15 დღის განმავლობაში არ შეასრულებს ზედამხედველობის ორგანოს მოთხოვნას, ზედამხედველობის ორგანოს უფლება აქვს აღნიშნული ვადის გასვლიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში მიმართოს საქართველოს მთავრობას ადგილობრივი

თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ მიღებული (გამოცემული) შესაბამისი ნორმატიული აქტის ან აქტის ნაწილის ბათილად გამოცხადების შესახებ წინადადებით. საქართველოს მთავრობა ზედამხედველობის ორგანოს წინადადებას იხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს წინადადების მიღებიდან 1 თვის ვადაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ საქართველოს მთავრობის მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ მიღებული (გამოცემული) შესაბამისი ნორმატიული აქტის ან აქტის ნაწილის გაუქმება დაუშვებელია.“

5. მე-9 მუხლის დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9¹ პუნქტი:

„9¹. ზედამხედველობის ორგანოს ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი მიზანშეწონილობის მოტივით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირის) ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების შესახებ უნდა შეიცავდეს დასაბუთებას, რომელშიც არგუმენტირებულად მიეთითება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ მიღებული აქტის მოქმედებით გამოწვეულ სახელმწიფოს ფინანსური ან მატერიალური სახსრების მიღება-გამოყენების არამიზნობრიობისა ან/და არაეფექტიანობის თაობაზე.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2008 წლის 15 დეკემბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი